



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 422

2016 წლის 27 აპრილი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შეიქმნას პასუხისმგებელი ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი), ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებაზე.

ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ბოკერია - ჯგუფის ხელმძღვანელი (გამგებლის პირველი მოადგილე)

ჯგუფის წევრები:

- მარი ჩიტაძე - უფ. სპეციალისტი საზოგადოებრივი მომსახურებისა და კეთილმოწყობის საკითხებში;
- ალექსანდრე შავლაყაძე - მთ.სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში;
- ივანე მანაგაძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
- ნიკოლოზ კაპანაძე - მთ.სპეციალისტი ხაზინის საკითხებში;
- ალექსანდრე ასატრიანი - სპეციალისტი ზედამხედველობის სამსახურში;
- გოგი კოჭლამაზაშვილი - მთ. სპეციალისტი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შიდა აუდიტის საკითხებში.

მუხლი 2. ჯგუფს დაევალოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ერთიანი სიის მომზადება, გადასახადის გადამხდელ იურიდიული და ფიზიკური პირების გამიჯვნა ერთმანეთისაგან, ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება მოსაკრებლის გადამხდელ იურიდიულ პირებთან, მოსაკრებლის გადახდაზე მუდმივი კონტროლი და ზედამხედველობა, გადაუხდელობის შემთხვევაში შესაბამისი წინადადებისა და დასკვნების მომზადება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსული მოსაკრებლის ოდენობის მუდმივი კონტროლი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება გამგებლისათვის, ასევე ყველა სხვა საკითხის კონტროლი და ზედამხედველობა რომელიც უკავშირდება ამ კონკრეტულ სფეროს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



კარლო ჯამბურია